ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 69

5 მარტი
"---" -------- 2021 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საზოგადოებრივი ტრანსპორტის 2021-2023 წლების განვითარების პროგრამის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 75-ე მუხლის „ე.ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საზოგადოებრივი ტრანსპორტის 2021-2023 წლების განვითარების თანდართული პროგრამა.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი — გიორგი ახვლედიანი

<u>დანართი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საზოგადოებრივი ტრანსპორტის 2021-2023 წლების განვითარების პროგრამა

№	ღონისძიების დასახელება	განხორციელების ვადა
1	სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M_2 კატეგორიის ავტობუსებით მგზავრობის ფასის დადგენა 50 თეთრის ოდენობით	01.04.2021
2	საზოგადოებრივი ტრანსპორტის (M_3 კატეგორიის ავტობუსი და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტი (მეტრო) უფასო გადაჯდომის არსებულ სისტემაში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M_2 კატეგორიის ავტობუსების ჩართვის უზრუნველყოფა	01.04.2021
3	საზოგადოებრივ ტრანსპორტში (M_3 კატეგორიის ავტობუსი და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტი (მეტრო) არსებული შეღავათიანი მგზავრობის პირობების გავრცელება სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართულ M_2 კატეგორიის ავტობუსებში	01.04.2021
4	ტენდერის გამოცხადება 8-მეტრიანი 180 ერთეული M_3 კატეგორიის ავტობუსის შესყიდვაზე მე-7 და მე-10 პუნქტების გათვალისწინებით	01.05.2021
5	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M_2 კატეგორიის ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელებაზე ნებართვების მფლობელების მიერ შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ მიერ უკვე შესყიდული 300 ერთეული M_2 კატეგორიის ავტობუსის გამოსყიდვის უზრუნველყოფა	01.08.2021
6	ტენდერის გამოცხადება 18-მეტრიანი M_3 კატეგორიის 200 ერთეული ავტობუსის შესყიდვაზე მე-13 პუნქტის გათვალისწინებით	01.09.2021
7	8-მეტრიანი არანაკლებ 50 ერთეული M_3 კატეგორიის ავტობუსის მიღების უზრუნველყოფა	01.01.2022
8	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M_2 კატეგორიის ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელებაზე ნებართვების მფლობელების მიერ დამატებით 400 ერთეული M_2 კატეგორიის ახალი ავტობუსის შესყიდვა და მიღების უზრუნველყოფა	01.01.2022
9	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ 300 ერთეული M_2 კატეგორიის ახალი ავტობუსის შესყიდვა და მიღების უზრუნველყოფა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M_2 კატეგორიის ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელებაზე ნებართვების მფლობელებისთვის გადაცემა	01.01.2022
10	8-მეტრიანი 130 ერთეული M_3 კატეგორიის ავტობუსის მიღების უზრუნველყოფა	01.06.2022
11	1 ერთეული M_3 კატეგორიის ავტობუსების არსებული ავტობაზის რეაბილიტაცია	01.01.2023
12	1 ერთეული M_3 კატეგორიის ავტობუსების ახალი ავტობაზის მშენებლობა	01.07.2023
13	18-მეტრიანი M_3 კატეგორიის 200 ერთეული ავტობუსის მიღების უზრუნველყოფა	01.07.2023
14	მგზავრობის ვადიანი აბონემენტების დანერგვა და ამოქმედება	01.07.2023
15	მგზავრთა გადაყვანის ახალი ქსელის სრულად ამოქმედება	01.07.2023